დამტკიცებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა

და კულტურის მინისტრის

2018 წლის _____ **№** _____ ბრძანებით

აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის

პროგრამა

(ორგანიზაციული კოდი 06 05)

ქ. თბილისი, **2018** წელი

1. პროგრამის მიზნები და ამოცანები:

პროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების მხარდაჭერა და მათი სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს:

- სამეცნიერო ლიტერატურის/კვლევის გამოცემა
- მოკლევადიანი სამგზავრო ხარჯები მეცნიერებისთვის

გამონაკლისის სახით, შეიძლება დაფინანსდეს სხვა მეცნიერიც, რომელიც არაა აფხაზეთიდან, მაგრამ მისი კვლევის თემა აქტუალურია და დაკავშირებულია საქართველოს ამ კუთხესთან.

არ დაფინანსდება ზედიზედ 2 წლის მანძილზე სამეცნიერო ნაშრომის დაბეჭდვის თაობაზე ერთი და იგივე ავტორის მიერ შემოტანილი განაცხადი.

უპირატესობა მიენიჭება თანადაფინანსებით წარმოდგენილ პროექტებს.

2. პროგრამის დასაბუთება:

1993 წლის 27 სექტემბრის შემდეგ, როცა აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის მთავრობის ძალისხმევით 300 000–ზე მეტი აფხაზეთის მკვიდრი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი, მრავალი მეცნიერი აღმოჩნდა მოწყვეტილი მშობლიურ საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მათი ძალისხმევის შედეგად, მოხერხდა აღდგენილიყო ჩვენი ქვეყნის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი(სადაც ფუნქციონირებს აფხაზური ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი), საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 2010 წელს შეუერთდა ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა. თბილისში დაარსდა ა(ა)იპ „აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“. ამ დაწესებულებებში მიმდინარეობს საფუძვლიანი კვლევები აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში, ქართველოლოგიაში, აფხაზეთის ისტორიაში, ქართულ- აფხაზურ ლიტერატურულ ურთიერთობებში, არქეოლოგიაში, ეკონომიკაში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეც ნიერებებში. მნიშვნელოვანია ამ კვლევების შედეგების წარმოჩენა საზოგადოების წინაშე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ხშირ შემთხვევაში, დევნილი მეცნიერები მწირი ფინანსური შესაძლებლობის

გამო ვერ ახერხებენ კვლევითი სამუშაოების ჩატარებას ან მიღებული შედეგების გამოქვეყნებას.

აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერთა მდიდარი ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავებას და აფხაზეთის თემატიკის სამეცნიერო –აკადემიურ წრეებში კიდევ უფრო წარმოჩენას.

3. პროგრამის განხორციელება და მონიტორინგი:

1) პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად აფხაზეთიდან დევნილი ფიზიკური პირები (დოქტორანტი, მაგისტრანტი, მაგისტრი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები, აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები) წარმოადგენენ შესაბამის პროექტებს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში.

იმ პროექტების განცხადების შემოტანა, რომლებიც ეხება პროგრამის პირობებითა და თემატიკით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნებას, მოხდება შემდეგი ვადის მიხედვით:

ა) პროგრამის გამოცხადებიდან 2018 წლის 05 სექტემბრამდე;

ბ) რაც შეეხება მეცნიერებისათვის მოკლევადიან სამეცნიერო ხარჯებს,მათი დაფინანსება ასევე განხორციელდება პროგრამის გამოცხადებიდან;

ზემოაღნიშნული გარემოება გამოწვეულია იმით, რომ კომისიის გადაწყვეტილებით, დაფინანსებულ პროექტებზე, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევების დაბეჭდვასა და გამოცემასთან, 2018 წლის სექტემბერში გამოცხადდება ტენდერი, რომელშიც გამარჯვებული გამომცემლობა უზრუნველყოფს დასაფინანსებელი პროექტებით გათვალისწინებული სამეცნიერო შრომების გამოცემას. შესაბამისად, ეს კვლევები წარმოდგენილი უნდა იყოს დამთავრებული სახით, რომელნიც გამოსაცემად საჭიროებენ მხოლოდ სასტამბო მომსახურებას. გარდა ამისა, ყოველივე ეს მოაწესრიგებს კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებს, რადგანაც მათი განხორციელებისათვის საჭირო თანხები უშუალოდ ჩაერიცხება ტენდერში გამარჯვებულ გამომცემლობას. თავის მხრივ, ეს გამოიწვევს ასევე პროგრამის

საბიუჯეტო სახსრების იმ ნაწილის დაზოგვას, რომლებიც საშემოსავლო გადასახადის სახით უკავდებოდათ პროექტების ავტორებს. აღნიშნული გარემოება ხელს შეუწყობს აგრეთვე უფრო მეტი განაცხადის დაკმაყოფილებას.

2)სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს წარმოდგენილ პროექტებს უწყების თანამშრომელთა მონაწილეობით შექმნილი კომისიის ფარგლებში:

<u>აფხაეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების განმხილველი კომისია-</u>

თავმჯდომარე:

1.როლანდ ნიჟარაძე - მინისტრის პირველი მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

თავმჯდომარის მოადგილე:

2. ბესიკ ოდიშარია - მინისტრის მოადგილე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ისტორიის სპეციალობით, დოქტორანტი, პროგრამის კოორდინატორი;

წევრები:

3.ირაკლი გელენავა - კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

4.თემურ წურწუმია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

5.ზაურ ლომთათიძე - პროფესორი ა(ა)იპ აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი;

6.ხათუნა შონია - განათლებისა და საგანმანათლებლო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ფილოლოგიის სპეციალობით (მდივანი)

*კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა.

*კომისიის წევრების მიერ განხორციელდება პროექტის ქულებით შეფასება (1-დან 10-მდე).

*პროექტები დაფინანსდება ჯამური ქულების რანჟირების მიხედვით შესაბამისი კვარტალური ფინანსური რესურსების ფარგლებში. ავტორთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას წინასწარი გაანგარიშებები დასაფინანსებელ თანხებზე (ინვოისი/ხარჯთაღრიცხვა); პროექტის შეფასება მოხდება გრადაციების: მაღალი 8-10 ქულა, საშუალო 5-7 ქულა, დაბალი 1-4 ქულის მიხედვით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- პრობლემების ატქუალურობა და კვლევის სიახლე;
- აღწერილი პროექტის მიზნების, განსახორციელებელი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების ტრანსპარანტულობა;
- პროექტის განხორციელებით კონკრეტული მეცნიერების პროფესიული წინსვლისათვის ხელშეწყობა;
- სამეცნიერო კონფერენციებზე თანამედროვე აფხაზეთის აქტუალური პრობლემების სათანადო წარმოჩენა;
- კვლევის შედეგებით უცხოეთის სათანადო სამეცნიერო წრეების დაინტერესების შესაძლებლობა;
- კონკრეტული მოკლევადიანი სამეცნიერო სამოგზაურო პროექტებით ინფორმაციის გაცვლის და გამოცდილების გაზიარების, ქართული მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობის ხარისხი.

* იმ შემთხვევაში , თუ წარმოდგენილ პროექტზე გადაწყვეტილების მიღება სცილდება სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს, პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს პროექტის შესაფასებლად კომპეტენტური და დამოუკიდებელი ექსპერტების შერჩევას. ექსპერტთა დადებითი დასკვნის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით, პროექტის წარმომდგენ პირთა (ან პირებთან) იდება ხელშეკრულება. დაფინანსდება პროექტის ბიუჯეტის მხოლოდ ის მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციით.

* სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და შინაარსობრივ კონტროლს. პროექტის ამოცანების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია შეარჩიოს ან/და შეწყვიტოს პროექტის დაფინანსება. დაფინანსების შეჩერების შემთხვევაში გადაწყვეტილებაში მიეთითება ის პირობები და ვადები, რომელთა შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსების გაგრძელება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში-შეწყვეტა.

* პროექტის დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად და დამოკიდებულია პრობლემის აქტუალურობაზე და თანადაფინანსების ოდენობაზე.

2. მოსალოდნელი რისკები

პროგრამის განხორციელებას შესაძლებელია თან ახლდეს შემდეგი სახის რისკები:

1. დაფინანსებული პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შეუსრულებლობა.
2. პროექტის შესასრულებლად ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევა.
3. შესაბამისი საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენა.
4. დაინტერესებულ პირთათვის პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.
5. საზოგადოების ნეგატიური რეაქცია დაფინანსებული პროექტის შედეგებზე.

2.პროგრამის სიცოცხლისუნარიანობა

პროგრამა წინამდებარე სახით სამინისტროს მიერ ხორციელდება 2010 წლიდან. მისი შედეგებიდან და სამეცნიერო საზოგადოების გამოხმაურებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მისი გაგრძელება.

პროგრამის კოორდინატორი - ბესიკ ოდიშარია - მინისტრის მოადგილე, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებაზე.

პროგრამა წინამდებარე სახით მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე. სამეცნიერო კვლევების გამოცემის თაობაზე განცხადების მიღების ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 05 სექტემბერი.

3.პროგრამის ბიუჯეტი:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	**2018** წელი	**I** კვარტალი	**II** კვარტალი	**III** კვარტალი	**IV** კვარტალი
06 05	აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა	**25000**	**2500**	**0**	**0**	**22 000**